186
1969

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 6

ნოემბერი—დეკემბერი

1969 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1969 წ.

14.168

## შ ი ნ ა ა რ ს ი


**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

115. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილების შეტანის შესახებ.

116. სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები**

117. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

118. ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესისა და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

119. ალალბადვიანი ელექტროქსელების დაცვის გაძლიერების შესახებ.

120. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის №748 დადგენილებით „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანიტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციაში დამატების შეტანის თაობაზე.

121. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ოქტომბრის № 541 დადგენილების მე-6 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

122. საბჭოთა მეურნეობებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ზეგეგმითი ნამატის მიღება-გამოზრდისა და პირუტყვის სულადობის შენარჩუნებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა პრემირების შესახებ.

123. „საქნავთობის“ გამგებლობაში არსებული ალაზნის წყალსადენის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

124. სახალხო მეურნეობაში სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმების მოწესრიგებისა და სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის მომჭირნეობით ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების შესახებ.

125. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის დებულების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

126. საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით.

127. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესების შესახებ.

128. სამასალე მერქნისაგან ზოგიერთი ნაკეთობის დამზადების აკრძალვის შესახებ.

129. იმ პირთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

130. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

131. საქართველოს სს რესპუბლიკაში მებოცვრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

132. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ და ცეკავშირის სისტემის იმ საწარმოთა დისლოკაციის შესახებ, რომლებიც ხილკენკრის ღვინოსა და ხილის წვენს ამზადებენ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ებ ი

## 115 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობა და „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების მე-16 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს მას რუსთავის წყალსადენის წყლის ფტორირების დანადგარის პროექტის შედგენა განახორციელოს 1970 წელს, ხოლო ამ დანადგარის მშენებლობა გაითვალისწინოს 1971 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის პროექტით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მუავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი. 1969 წლის 2 დეკემბერი. № 677.

## 116 სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების შესახებ

„სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 ნოემბრის № 892 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გარდაიქმნას სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებად.

შეუნარჩუნდეთ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს ხელფასი და სხვა პირობები, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებში.

დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი იმავდროულად არის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

რჩევა მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ აღნიშნული საკითხი რაიონული საბჭოების უახლოესი სესიების განსახილველად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში დააზუსტონ რაიალმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სტრუქტურა და შტატები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მუშაკთა რაოდენობისა და ასიგნებათა ერთი ნაწილი გამოიყენონ რაიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების დასაკომპლექტებლად, და თავიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1969 წ. 23 დეკემბერი, № 701.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის

# დადგენილებები

## 117 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების გადანაწილებისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**გ. ჩოგოვაძე.** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**შ. კიკნაძე.** |

ქ. თბილისი, 1969 წ. 19 ნოემბერი, № 648.

# ნუსხა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 21 თებერვლის № 238 დადგენილება „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 მარტის № 160 დადგენილებით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 3 აპრილის № 207 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 აგვისტოს № 500 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დამატებით დაწესების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 59 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1964 წლის 12 მაისის № 275 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 20 სექტემბრის № 566 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ სისტემაში შემავალი „საქკონსერვტრესტის“ საწარმოების, საქხილბოსტანის სამმართველოს დამამზადებელი კანტორების, „თბილ-

ხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1965 წლის 14 დეკემბრის № 716 დადგენილება „ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის რესპუბლიკის საგაზო მეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 19 მარტის № 160 დადგენილება „მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 4 ივნისის № 338 დადგენილება „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს იმ მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი ჯილდოების დაწესების შესახებ, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 11 ივნისის № 357 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 27 აგვისტოს № 517 დადგენილება „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ“, გარდა კომბინატ „საქქვანახშირის“ შახტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებისა.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 23 დეკემბრის № 690 დადგენილება „ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საქმეში საუკეთესო მიღწევისათვის რესპუბლიკის საგაზო მეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს* და *საქართველოს* პროფკავშირთა *რესპუბლიკური* საბჭოს *პრეზიდიუმის* 1965 *წლის* 14 *დეკემბრის* № 716 *დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე*“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 21 აპრილის № 258 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს საწარმოებისა და ორგა-

ნიზაციების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისა და პირობების შესახებ".

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის № 379 დადგენილება „თბილისის მეტროპოლიტენის საწარმოო ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ".

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 თებერვლის № 67 დადგენილება „საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირუტყვის დამზადების რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ".

---

## 118 ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესისა და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან რა სახელოვანი იუბილესათვის, წარმატებით ასრულებენ შრომის ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ნათლად ვლინდება პატრიოტიზმი, მისწრაფება აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღწევებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა შრომითი წარმატებების აღსანიშნავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ვ. ი. ლენინის იუბილეს აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელი.

ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელი მიენიჭებათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ვაჭრობის საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მსვლელობაში.

დაწესდეს, რომ ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელის მინიჭების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გამოქვეყნდება და გამარჯვებულებს სიგელები გადაეცემათ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

აღნიშნული საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებსაც ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭებათ, აგრეთვე მიეცემათ რესპუბლიკური პრემიები იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია იმ კოლექტივებისათვის, რომლებიც რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები შესაბამისი ფულადი პრემიებით მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1970 წლის პირველი კვარტალისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1969 წლის შედეგების მიხედვით არ მიენიჭოთ.

ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად განსაზღვრონ იმ ფულადი პრემიების ოდენობა, რაც ლენინურ საიუბილეო საპატიო სიგელებთან ერთად მიეცემათ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე აღნიშნული პრემიების გასაცემად საჭირო სახსრების წყაროები და თავისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ვ. შუბანაძე.

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
შ. კიკნაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 9 დეკემბერი, № 691

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 9 დეკემბრის № 691 დადგენილების დანართი

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ლენინური საიუბილეო სიგელების განაწილება**

| საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება | საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა |
|---|---|
| კვების მრეწველობის სამინისტრო | 12 |
| ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო | 4 |
| მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 6 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 3 |
| მშენებლობის სამინისტრო | 5 |
| სასოფლო მშენებლობის სამინისტრო | 2 |
| ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო | 3 |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო | 4 |
| საავტომობილო გზების სამინისტრო | 1 |
| კავშირგაბმულობის სამინისტრო | 2 |
| ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | 3 |
| კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | 5 |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | 5 |
| მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო | 2 |
| სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო | 2 |
| სოფლის მეურნეობის სამინისტრო | |
| საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისათვის | 6 |
| კოლმეურნეობებისათვის | 18 |
| ვაჭრობის სამინისტრო | 4 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო | 3 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება | საიუბილეო საპატიო სიგელების რაოდენობა |
|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი | 3 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“ | 4 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი | 2 |
| საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველო „საქნავთობმარაგგასაღება“ | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო | 2 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი | 2 |
| ცეკავშირი | 4 |
| თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო | 1 |
| სახმშენი | 1 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი | 1 |
| უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო | 1 |
| ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | 1 |
| კულტურის სამინისტრო | 1 |
| განათლების სამინისტრო | 1 |
| ფინანსთა სამინისტრო | 1 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო | 1 |
| საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია | 1 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი | 1 |

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 119 მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაცვის გაძლიერების შესახებ

ენერგეტიკული სისტემების მუშაობის საიმედოობის ამაღლებისა და ძოძხმარებელთა ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საჭიროდ ჩაითვალოს დაწესდეს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარედგინოს პროექტი ბრძანებულებისა ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ნოემბერი, № 636

## 120 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილებით დამტკიცებულ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილებით დამტკიცებულ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 38-ე პუნქტში შეტანილ იქნეს დამატებები. ამასთან დაკავშირებით ინსტრუქციის 38-ე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„38. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილი) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და რეგისტრირებულ

უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში არა უგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან, მაგრამ მხარეთა სურვილით ასეთი ხელშეკრულებანი შეიძლება დამოწმებულ იქნეს სანოტარო წესით ამ ინსტრუქციის 32-37 პუნქტებში აღნიშნული წესების დაცვით. კოლმეურნეობის ან საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარდგენილ უნდა იქნეს საკოლმეურნეო კომლის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა, ხოლო თუ არიან კომლის არასრულწლოვანი და ქმედუუნარო წევრები, — მეურვეობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.

კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის ან სხვა წარმოება-დაწესებულებისათვის მიჩენილ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების რეგისტრაციის დროს წარდგენილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის და სხვა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობა—გადაეცეს მიწის ნაკვეთი შენობის შემძენის სარგებლობაში.

ხოლო იმ მიწებზე, რომლებიც ქალაქის ტიპის დაბის ან სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებშია და მშრომელთა დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოს გამგებლობაშია, — საჭიროა მათი თანხმობა.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაბათილებას".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 6 ნოემბერი. № 637.

## 121 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ოქტომბრის № 541 დადგენილების მე-6 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებების საწარმოო საგზაო უბნებად გადაკეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ოქტომბრის № 541 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბ ჭ ო ა დ გ ე ნ ს:

აღნიშნული დადგენილების მე-6 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 10 ნოემბერი. № 639.

## 122 საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ზეგეგმითი ნამატის მიღება-გაზრდისა და პირუტყვის სულადობის შენარჩუნებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა პრემირების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დირექტორებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, ნამატის მიღებისა და გამოზრდისათვის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შენარჩუნებისათვის მეცხოველეობის მუშაკებს მისცენ პრემიის სახით:

**1. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში:**

ა) მწველავს — ზეგეგმით მოწველილი რძის 10 პროცენტი ნატურით, აგრეთვე მისთვის მიჩენილი ძროხებისაგან (100 ძროხაზე გადაანგარიშებით) 85-დან 90-მდე ხბოს მიღებისა და შენარჩუნებისათვის — 1 კგრ. ხორცი. ხოლო 90-დან 95-მდე ხბოს მიღებისათვის — 1.5 კგრ ხორცი. ცოცხალი წონით, თითოეულ ხბოზე;

ბ) მეწველი პირუტყვის მომვლელ მწყემსს მისთვის მიჩენილი ძროხებისა და უშობლებისაგან 85-90 პროცენტამდე ნამატის მიღებისა და შენარჩუნები-

ცათვის — 2 თვის ასაკის ერთი ხბო. გარდა ამისა, ზეგეგმით მოწველილი რძის 2 პროცენტი;

გ) პროფილაქტორიუმის მეხბორეს, ხბოების არანაკლებ 98 პროცენტის შენარჩუნებისა და უფროს ჯგუფში გადაცემისას, თუ შესრულებულია საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა. — 1 თვის ასაკის ერთი ხბო, ხოლო ხბოების 100 პროცენტით შენარჩუნების შემთხვევაში — 2 თვის ასაკის ერთი ხბო;

დ) მეხბორეს, რომელიც უვლის ხბოებს რძის წოვების პერიოდში, ნამატის 98 პროცენტით შენარჩუნებისათვის, საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმის შესრულების შემთხვევაში, — ერთი თვის ასაკის ერთი ხბო, ხოლო ნამატის 100 პროცენტით შენარჩუნებისას — ორი თვის ასაკის ერთი ხბო;

ე) მწყემსს, რომელიც უვლის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულს, რძის წოვების პერიოდის შემდეგ უფროს ჯგუფში გადაცემამდე პირუტყვის 100 პროცენტით შენარჩუნებისათვის საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმის შესრულების შემთხვევაში, — ორი თვის ასაკის ერთი ხბო;

ვ) ძოვებით ან ბაგური კვებით გასასუქებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მომვლელ მწყემსს, სახელმწიფოსათვის ჩაბარებული უმაღლესი ნაკვებობის თითოეულ პირუტყვზე, თუ სულადობა მთლიანად შენარჩუნებულია და შესრულებულია საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა, — 1 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით, არა უმეტეს 80 კილოგრამისა ერთ მწყემსს, აგრეთვე ზეგეგმით მიღებული წონამატების 20 პროცენტი;

ზ) ცხოველთა ხელოვნურ დათესვლაზე მომუშავე მუშაკებს, მათ მიერ დათესვლილი ძროხებისა და უმობლებისაგან არანაკლებ 95 პროცენტი ჯანსაღი ხბოების მიღებისა და ხელოვნური დათესვლის გეგმის შესრულებისათვის — 2 თვის ასაკის ერთი ხბო, ხოლო ნამატის 100 პროცენტით მიღებისათვის — სამი თვის ასაკის ერთი ხბო.

2. მეღორეობის ფერმაში:

ა) მეღორეს, რომელიც უვლის დედა ღორებს, თუ თითოეული დედა ღორისაგან წლის განმავლობაში მიიღო 12 გოჭი, ასხლიტა და გადასცა შემდეგ ჯგუფში თითოეული არანაკლებ 10 კილოგრამისა, — ორი თვის ასაკის 1 გოჭი, ხოლო ერთი დედა ღორისაგან თუ მიიღო 16 გოჭი, ასხლიტა და გადასცა შემდეგ ჯგუფში არანაკლებ 13 კილოგრამისა თითოეული, — 2 თვის ასაკის 2 გოჭი;

ბ) მეღორეს, რომელიც უვლის 2-დან 4 თვემდე ასაკის გოჭებს, წლის განმავლობაში სულადობის 97 პროცენტით შენარჩუნების შემთხვევაში, თუ შესრულებულია საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმა, — 20 კგრ წონის 1 გოჭი, ხოლო 100 პროცენტით შენარჩუნების შემთხვევაში — 30 კგრ წონის 1 გოჭი;

გ) მეღორეს, რომელიც უვლის გასასუქებელ ღორებს, თუ წლის განმავლობაში შეინარჩუნებს სულადობას 98 პროცენტით და შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას, — 20 კგრ წონის ერთი გოჭი, ხოლო თუ სუ-

ლადობას შეინარჩუნებს 100 პროცენტით და საშუალო სადღეღამისო წონა-მატების გეგმას გადააჭარბებს არანაკლებ 10 პროცენტით — 50 კგრ წონის ერთი ბურვაკი;

დ) მეღორე, რომელიც უვლის სხვა დანარჩენი ჯგუფის ღორებს, თუ წლის განმავლობაში შეინარჩუნებს სულადობას 95 პროცენტით და შეასრულებს საშუალო სადღეღამისო წონამატების გეგმას. — 20 კგრ წონის ერთი გოჭი.

**3. მეცხვარეობის ფერმაში:**

ა) მეცხვარეობის ბრიგადას, რომელიც უვლის დედა ცხვრებს, 100 დედაცხვრისაგან 90 ბატკნის ზევით მიღებულ და შენარჩუნებულ ყოველ 10 ბატკნიდან — ერთი ბატკანი, ხოლო 100 დედა ცხვარზე 100 ბატკნის ზევით მიღებულ და შენარჩუნებულ ყოველ 5 ბატკნიდან, — ერთი ბატკანი;

ბ) მეცხვარეობის ბრიგადას, რომელიც უვლის მოზარდსა და გასასუქებელ ცხვრებს, საშუალო წლიური სულადობის 97 პროცენტით შენარჩუნებისათვის, — ზეგეგმით მიღებული წონამატების 50 პროცენტი ნატურით.

**4. მეფრინველეობის ფერმაში:**

ა) კვერცხმდებელი ფრინველის მომვლელ მეფრინველეს, გეგმასთან შედარებით კვერცხმდებლობის გადიდებისათვის, თუ ფრინველის სულადობა შენარჩუნებულ იქნება არანაკლებ 98 პროცენტისა, ნატურით ეძლევა:

ერთ კვერცხმდებელ ქათამზე საშუალო წლიური კვერცხმდებლობის 5 ცალ კვერცხამდე გადაჭარბების შემთხვევაში, გადაჭარბებით შეგროვილი ყოველი 100 კვერცხიდან — 5 კვერცხი.

კვერცხმდებლობის 6-10 კვერცხით გადიდების შემთხვევაში, გადაჭარბებით შეგროვილი ყოველი 100 კვერცხიდან — 10 კვერცხი;

კვერცხმდებლობის 10 კვერცხის ზევით გადაჭარბების შემთხვევაში, გადაჭარბებით შეგროვილი ყოველი 100 კვერცხიდან — 15 კვერცხი;

ბ) ფრინველის ინკუბაციაზე მომუშავე ოპერატორებს, რომლებიც აწარმოებენ საკუთარი მეფრინეობის კვერცხის ჩალაგებას, საინკუბაციოდ ჩალაგებული კვერცხიდან 82 პროცენტის ზევით გამოჩეკილ ყოველ 100 წიწილაზე, — 30 ფრთა წიწილა, ხოლო შესყიდული კვერცხიდან 80 პროცენტის ზევით მიღებულ ყოველ 100 ფრთა წიწილაზე, — 30 წიწილა ყოველი პარტიის გამოჩეკვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია კვერცხის საინკუბაციოდ ჩალაგების გეგმა;

გ) მოზარდი ფრინველის მომვლელ მეფრინველეს, რომელიც უვლის 1-დან 30 დღემდე ასაკის ფრინველს, სულადობის 95 პროცენტის ზევით შენარჩუნებისათვის, თუ ამ პარტიის მოხსნის (სხვა ჯგუფში გადაცემის) პერიოდში თითოეულის საშუალო წონა იქნება არანაკლებ 230 გრამისა, — 95 პროცენტის ზევით შენარჩუნებულ ყოველ 100 ფრთა ფრინველზე, — 40 ფრთა; მეფრინველეს, რომელიც უვლის 31-დან 60 დღემდე ასაკის ფრინველს, სულადობის 97 პროცენტის ზევით შენარჩუნებისათვის, თუ ამ პარტიის მოხსნის (სხვა ჯგუფში გადაცემის) პერიოდში თითოეულის საშუალო წონა იქნება არანაკლებ 550 გრამისა, — 97 პროცენტის ზევით შენარჩუნებული რაოდენობის ყოველ 100 ფრთა ფრინველზე — 20 ფრთა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გასასუქებელი ფრინველის მომვლელ მეფრინველეს, რომელიც ემსახურება 61-დან 90 დღემდე ასაკის ფრინველს, სულადობის 98 პროცენტით შენარჩუნებისათვის, თუ კვებიდან მოხსნის პერიოდში საშუალო წონა შეადგენს: 80 დღის ასაკისა — არანაკლებ 800 გრამს, 85 დღის ასაკისა — 850 გრამს, და 90 დღის ასაკისა — 900 გრამს, მიეცეს 98 პროცენტზე ზევით შენარჩუნებულ ყოველ 100 ფრთა ფრინველზე — 25 ფრთა;

ე) მეფრინველეს, რომელიც უვლის სარემონტო მოზარდ ფრინველს 61-დან 180 დღის ასაკამდე, თუ სულადობა შენარჩუნებულ იქნება არანაკლებ 95 პროცენტისა და კვერცხდებელ ჯგუფში გადაყვანილია არანაკლებ 75 პროცენტისა და გადასაყვანი ფრინველის საშუალო წონა იქნება არანაკლებ 1400 გრამისა, — მიეცეს კვერცხდებელ ჯგუფში ზედმეტად გადაყვანილ ყოველ 100 ფრთაზე — 25 ფრთა ფრინველი.

**შენიშვნა:** აღნიშნული პრემიების გაცემისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირუტყვისა და ფრინველის გეგმით გათვალისწინებული მიჩენის (მომსახურება) ნორმების დაცვა.

5. მეცხოველეობის ფერმებისა და ბრიგადების ბრიგადირებს მიეცემათ პრემია ნატურით, მათს ბრიგადაში (ფერმაში) საშუალოდ ერთ წევრზე გაცემული ნატურალური პრემიის ოდენობით.

6. მუშაკთა სურვილის მიხედვით, ნატურალური პრემიის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი ღირებულება სახელმწიფო შესყიდვის ფასებით.

7. საკვების წარმოებისათვის საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების მუშების მატერიალური დაინტერესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 მაისის № 956 განკარგულების შესაბამისად, დამატებითი ანაზღაურების სახით უფასოდ მიეცეს თივისა და ნამჯის აღებასა და სილოსის დამზადებაზე დასაქმებულ მუშებს, აგრეთვე მიეყიდოს გეგმიანი თვითღირებულებით საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუდმივ მუშებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ შინაური პირუტყვი, თივის მოსავლისა და დამზადებული სილოსის 10 პროცენტამდე, ხოლო ნამჯა — 20 პროცენტამდე.

8. აღნიშნული პრემიების გაცემა მოხდეს შრომის ანაზღაურების მოქმედებულებით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურებისა და პრემიების გადამეტებით.

9. უფლება მიენიჭოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დირექტორებს შეუმცირონ ან სრულიად მოუხსნან ნატურალური პრემია ცალკეულ მუშაკებს მუშაობის პერიოდში საწარმოო დაუდევრობისა და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 19 ნოემბერი. № 656.

-/1.168

## 123 „საქნავთობის“ გამგებლობაში არსებული ალაზნის წყალსადენის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „საქნავთობის“ ტრესტის გამგებლობაში მყოფი ალაზნის წყალსადენი, რომელიც ძირითადად ემსახურება წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მათ ფერმებსა და კარლო-ნატბეურას 51 ათას ჰექტარ საძოვრებს, ტექნიკურად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

„საქნავთობის“ ტრესტი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს აღნიშნული წყალსადენის ექსპლოატაციის გაუმჯობესების საქმეში, ვინაიდან ეს წყალსადენი ძირითადად ემსახურება სოფლის მეურნეობას.

ალაზნის წყალსადენის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1970 წლის 1 იანვრიდან გადაეცეს აღნიშნული წყალსადენი (მაგისტრალური მილსადენი, ხიდი-აკვედუკი, სატუმბო სადგური და გამანაწილებელი აუზი) „საქნავთობის“ ტრესტის ბალანსიდან საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საძოვრების გაწყლიერების სამმართველოს ბალანსზე.

2. დაევალოს „საქნავთობის“ ტრესტს მიმდინარე წლის ბოლომდე კაპიტალურად შეაკეთოს აღნიშნული წყალსადენის ნაგებობანი და მოიყვანოს ისინი სრულ ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.

3. შენარჩუნებულ იქნეს მომავალში წყალსადენის გამანაწილებელი აუზიდან გამავალი ქსელის მოვლა-პატრონობის არსებული წესი, რომლის თანახმადაც ეს ფუნქცია დაკისრებული აქვთ შესაბამის წყალმომხმარებლებს, მათვე დაევალოს აღნიშნული აუზიდან მიწოდებული წყლის საფასურის ანაზღაურება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საძოვრების გაწყლიერების სამმართველოსათვის.

4. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს ალაზნის წყალსადენის მიერ მიწოდებული 10 კუბური მეტრი წყლის ღირებულება 84 კაპიკის ოდენობით.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინოს ყოველწლიურ გეგმებში ალაზნის წყალსადენიდან კარლო-ნატბეურას საძოვრების გაწყლიერებისათვის მიღებული წყლის ხარჯები დამტკიცებული ტარიფით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 19 ნოემბერი, № 657.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 124 სახალხო მეურნეობაში სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმების მოწესრიგებისა და სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის მომჭირნეობით ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმირება.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები საკმაოდ არ ახორციელებენ ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელმძღვანელობას სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ნორმირებისა და მომჭირნეობისადმი.

ელექტროენერგიის ხარჯვის გადიდებული ხვედრითი ნორმების დაწესების შედეგად მომჭირნეობა მთელ რიგ საწარმოებში 10-20 და მეტ პროცენტს აღწევს, თუმცა ამ საწარმოებში არ ხორციელდება რაიმე არსებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. 56 სამრეწველო საწარმომ 1969 წლის 9 თვის განმავლობაში მიიღო არარეალურად დიდი ეკონომია — 10 პროცენტზე მეტი. ამ საწარმოებში ელექტროენერგიის საერთო ეკონომია 9 თვის განმავლობაში შეადგენს 25413 ათას კილოვატსაათს, ანუ 29 პროცენტს. არარეალურად დიდი ეკონომია ჰქონდათ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას (5358 ათასი კილოვატსაათი, ანუ 19,2 პროცენტი), რაჭის სამთო-მეტალურგიულ კომბინატს (1348 ათასი კილოვატსაათი, ანუ 67 პროცენტი), თეძამის კერამზიტის ქარხანას (1151 ათასი კილოვატსაათი, ანუ 45 პროცენტი), № 5 რადიოსადგურს (6105 ათასი კილოვატსაათი, ანუ 37 პროცენტი) და სხვ.

ამასთან ერთად, 35 საწარმომ იმავე პერიოდში დაუშვა ელექტროენერგიის გადახარჯვა ხვედრითს ნორმებთან შედარებით 103600 ათასი კილოვატსაათით.

რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა გადახარჯა 84 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, „საქნავთობის“ ტრესტმა — 1942 ათასი კილოვატსაათი, თბილისის საინსტრუმენტო ქარხანამ — 1041 ათასი კილოვატსაათი, თბილისის ელექტრომავალმშენებელმა ქარხანამ — 2232 ათასი კილოვატსაათი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაშურის საწარმოო კომბინატმა, სოხუმის და ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატებმა — 244 ათასი კილოვატსაათი.

საქართველოს სსრ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა 1969 წლის 9 თვის განმავლობაში გადახარჯეს 2800 ტონა სათბობი, რაც შეადგენს მათი მოხმარების 12 პროცენტს.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები ვერ უზრუნველყოფენ სათბობის, თბოენერგიისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების შესრულების შესახებ სრული ყოველკვარტალური ანგარიშების წარდგენას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის 11-სნ ფორმის მიხედვით. ამის გამო, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აგვიანებს 11 სნ კრებსითი ფორმის წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდგენას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის, აგრეთვე 11-სნ ფორმის II და III განაყოფების ყოველთვიურად წარდგენას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოსათვის.

სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმირების დარგში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 ნოემბრის № 857 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ:

ა) გადასინჯონ საწარმოებში მოქმედი სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის ხარჯვის ნორმები და შეუსაბამონ ისინი წარმოებაში სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის ხარჯვის ნორმირების შესახებ არსებულ დებულებებს, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს.

ახალი ნორმები შემოიღონ 1970 წლის 1 იანვრიდან. ნორმების გადასინჯვისათვის გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 ნოემბრისათვის;

ბ) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის რაციონალურად ხარჯვას საქვეუწყებო საწარმოებში;

გ) უზრუნველყონ სამინისტროებისა და საწარმოების ენერგეტიკული სამსახურების უფლებათა განმტკიცება და გაფართოება, ამასთან იქონიონ მხედველობაში სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის რაციონალურად ხარჯვის ნორმირებისა და კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესება;

დ) უზრუნველყონ, რომ კუთვნილებისამებრ და დადგენილ ვადებში იქნეს წარდგენილი ანგარიშები სათბობის, თბოენერგიისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების შესრულების შესახებ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გააძლიერონ კონტროლი სამრეწველო საწარმოებში ელექტროენერგიისა და თბოენერგიის ნორმირებისა და რაციონალურად გამოყენებისადმი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაწესებულ ვადებში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 11-სნ ფორმები სრული მოცულობით.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 3 ნოემბრის № 857 დადგენილებით:

ა) დააწესა, რომ, 1970 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდში გადა-

ირიცხება ფულადი სახსრები საშუალოდ იმ სათბობის ღირებულების 60 პროცენტის რაოდენობით, რომელიც დაზოგილია გეგმით გათვალისწინებული ხვედრითი ხარჯვის ნორმებთან შედარებით. ამავე წესით იწარმოებს ანარიცხები ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდში ელექტრო და თბოქსელებში ნორმატივებთან შედარებით ენერგიის დანაკარგის შემცირებისათვის (პირობითს სათბობზე გადაანგარიშებით).

ენერგეტიკულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდში დაზოგილი სათბობის ღირებულებიდან ანარიცხების კონკრეტული ოდენობა დაწესდება იმ სკალის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ყველა ენერგეტიკული საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დიფერენცირებულად გამოსაყენებელი სათბობის რაოდენობის, სახეობისა და ფასის მიხედვით;

ბ) ნება დართო სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს მოახდინონ იმ სახსრების 20 პროცენტამდე ცენტრალიზაცია, რომლებსაც ენერგეტიკული საწარმოები და ორგანიზაციები გადარიცხავენ მატერიალური წახალისების ფონდში დაზოგილი სათბობის ღირებულებიდან, იმ ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდის გასადიდებლად, რომლებიც დაბალი ხარისხის სათბობს იყენებენ;

სათბობის გადახარჯვის დროს ან ელექტროქსელებსა და თბოქსელებში ნორმატივებთან შედარებით ენერგიის დანაკარგის გადამეტების დროს (პირობითს სათბობზე გადაანგარიშებით), ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური წახალისების ფონდი შემცირდება გადახარჯული სათბობის ღირებულებიდან ისეთივე რაოდენობით (პროცენტულად), რა რაოდენობითაც იგი დიდდება სათბობის მომჭირნეობისათვის. ამასთან მატერიალური წახალისების ფონდი არ შეიძლება შემცირდეს 10 პროცენტზე მეტად;

გ) უფლება მიანიჭა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს არ გაადიდოს (არ შეამციროს) საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდები, როდესაც ეკონომია (ან გადახარჯვა) მიღებულია გეგმასთან შედარებით სათბობის მიწოდების სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით.

დ) დააწესა, რომ:

საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდის შესაქმნელად საანგარიშსწორებო რენტაბელობის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება სათბობის ხარჯვის შემცირებისა და ელექტროქსელებსა და თბოქსელებში ენერგიის დანაკარგის შემცირებისაგან მიღებული ეკონომიის თანხა გეგმით დაწესებული ნორმატივების გადამეტებით, აგრეთვე სათბობის გადახარჯვის დროს ან ელექტროქსელებსა და თბოქსელებში ნორმატივებთან შედარებით ენერგიის დანაკარგის გადამეტების დროს გაწეული დამატებითი ხარჯების თანხა;

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ენერგეტიკულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხები შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გეგმის გადაჭარბებით შესრულება უზრუნველყოფილია დაზოგილი სათბობის, ქსელებში ენერგიის დანაკარგის შემცირების, ჰიდროელექტროსადგურებში წყლის რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე სათბობის არადეფიციტურ სახეობათა გამოყენების ხარჯზე;

უკეთუ ენერგეტიკულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს ელექტროენერგიისა და თბოენერგიის რეალიზაციის გეგმა იმის გამო, რომ მომხმარებლებმა მთლიანად არ გამოიყენეს ენერგია დაწესებულ ლიმიტებთან შედარებით, მატერიალური წახალისების ფონდებში ანარიცხების ოდენობა (ნორმატივები) არ შემცირდება, ხოლო ენერგეტიკული საწარმოებისა და ორგანიზაციების მმართველობის აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები მიიღებენ პრემიებს მაშინაც, თუ ამასთან დაკავშირებით არ იქნა შესრულებული ელექტროენერგიისა და თბოენერგიის რეალიზაციის გეგმები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **.ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 24 ნოემბერი, № 659.

## 125 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის დებულების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული:

— დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო. კომისიის შესახებ;

— დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის № 678 დადგენილებით დამტკიცებული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 24 ნოემბერი, № 660.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 24 ნოემბრის № 660
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისია არის საგეგმო-ეკონომიური ორგანო, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დავალებებით შეიმუშავებს საოლქო აღმასკომის საქვეუწყებო მეურნეობების განვითარების კრებსითს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, აგრეთვე მთლიანად ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარების ცალკეულ საკითხებს და კონტროლს გაუწევს დაწესებული გეგმების შესრულებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისია თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსაც.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიის მთავარი ამოცანაა გაითვალისწინოს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებში:

— საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და შრომის ნაყოფიერების გადიდება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელი ზრდა, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი გაფართოება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება და სავაჭრო ქსელის გაფართოება, მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება;

— სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალურად განლაგება ისე, რომ დაუახლოვდეს საწარმოები ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს და უფრო მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული შრომითი რესურსები ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე;

— საჭირო დარგთშორისი და შიდადარგობრივი პროპორციები ავტონომიური ოლქის მეურნეობის განვითარებაში, სწორი თანაფარდობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაკავშირება მომუშავეთა ხელფასის ზრდასთან, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდისა — საქონელბრუნვასთან, წარმოებისა — მის მატერიალურ და საფინანსო უზრუნველყოფასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი ფონდების რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად გამოყენება, მშენებარე საწარმოების, საცხოვრებელი ფონდის და კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების სწრაფად გადაცემა საექსპლოატაციოდ;

— ბუნებრივი რესურსების, ნედლეულისა და სათბობის ადგილობრივი წყაროების, წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენება. ახალი ტექნიკის, მოწყობილობის, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის გამოყენების მოწინავე ტექნიკურ-ეკონომიური ნორმების შემდგომი დანერგვა ავტონომიური ოლქის მეურნეობის ყველა დარგში;

— საბინაო-კომუნალური მშენებლობის, სკოლებისა და სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის დაწესებულებებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ქსელის გაფართოება, საგზაო მშენებლობის განვითარება, ყველა სახეობის ტრანსპორტის კომპლექსური განვითარება და გამოყენება.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიას ეკისრება:

ა) საოლქო აღმასკომის ქვესაუწყებო მეურნეობაში პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების კრებსითი გეგმების პროექტების შემუშავება, აგრეთვე საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტების საფუძველზე, ოლქის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური (ტერიტორიული) გეგმის პროექტების შემუშავება;

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კრებსითი რაიონული გეგმების პროექტების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების საერთო რესურსების ბალანსების, სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო რესურსების გამოყენების გეგმების შემუშავება;

გ) შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის ბალანსების, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო საჭიროების საქონლის წარმოების კრებსითი საკოორდინაციო გეგმების პროექტების, აგრეთვე ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის კრებსითი საკოორდინაციო გეგმების პროექტების შემუშავება ავტონომიური ოლქისათვის;

დ) საქონელბრუნვისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმების პროექტების შემუშავება ყველა ორგანიზაციისათვის, რომლებიც ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად;

ე) იმ გეგმების პროექტების გამო წინადადებათა მომზადება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროსათვის (უწყებისათვის) წარსადგენად, რომლებსაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები

შეიმუშავებენ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარე მათი საქვეუწყები საწარმოებისათვის, გარდა თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმებისა;

ვ) წინადადებათა მომზადება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სათანადო სამინისტროსათვის (უწყებისათვის) წარსადგენად შესაბამისი დარგის მრეწველობის განვითარებისა და განლაგების იმ სქემების მიხედვით, რომლებსაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები შეიმუშავებენ, აგრეთვე ახალი საწარმოების დაპროექტების, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დავალებათა მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო სრულად იქნეს გამოყენებული საწარმოო ფონდები, შრომითი მატერიალური და ბუნებრივი რესურსები, მიზანშეწონილად მოხდეს წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, აგრეთვე მცირე ქალაქების განვითარება;

ზ) დასკვნებისა და წინადადებების მომზადება საოლქო აღმასკომის სამმართველოებთან და განყოფილებებთან ერთად რაიონული დაგეგმარების სქემების, ქალაქების განვითარების გენერალური გეგმების, ქალაქებისა და მუშათა დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების მიხედვით;

თ) კოორდინაცია კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკურ სკოლებში, რომლებიც ახორციელებენ, თუ საამისო პირობები არსებობს, პროფესიულ მომზადებას უშუალოდ წარმოებაში, საწარმოების, მშენებლობებისა და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნილების გათვალისწინებით, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის ღონისძიებათა შემუშავება;

ი) სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეული საკითხების დამუშავება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დავალებებით და თავისი ინიციატივით;

კ) დასკვნების მომზადება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტების გამო;

ლ) დასკვნებისა და წინადადებების მომზადება საოლქო აღმასკომის საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფების პროექტების გამო, რომლის ფასებსა და ტარიფებს საოლქო აღმასკომი ამტკიცებს;

ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების დაცვისადმი კონტროლის მოწყობა და განხორციელება;

მ) ავტონომიური ოლქის მეურნეობისა და კულტურის განვითარების სახელმწიფო გეგმების და პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება და წინადადებათა მომზადება გეგმების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ;

ნ) იმისადმი კონტროლის განხორციელება, რომ საოლქო აღმასკომის სამმართველოებმა და განყოფილებებმა დროულად მიაწოდონ გეგმის მაჩვენებლები საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეობებს;

ო) საგეგმო-ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების და წარმოების ეკონომიური სტიმულირების დარგში მიღებული გამოცდილების გაზიარება ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში და საოლქო აღმასკომის საქვეუწყებო სხვა საწარმოებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში.

4. საოლქო აღმასკომის საგეგმო კომისია დადგენილი წესით აძლევს საოლქო აღმასკომის სამმართველოებსა და განყოფილებებს, რაიონულ (საქალაქო) აღმასკომებს მეთოდურ მითითებებს, ფორმებსა და მაჩვენებლებს ადგილობრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესამუშავებლად;

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს საოლქო აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებებისაგან, რაიაღმასკომებისა და საქალაქო აღმასკომებისაგან, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, გეგმების პროექტები (გარდა თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმებისა), აგრეთვე გეგმების შესადგენად და მათი შესრულების შესამოწმებლად საჭირო მასალები და გაანგარიშებანი;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან დადგენილი წესით მათი საქვეუწყებო საწარმოების გეგმების პროექტები (გარდა თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმებისა), მრეწველობის განვითარებისა და განლაგების სქემები, აგრეთვე ახალი საწარმოების დაპროექტების, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დავალებანი;

გ) მიიღოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საპროექტო ორგანიზაციებისაგან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმები და შეამოწმოს ამ გეგმების შესრულება იმ ნაწილში, რომელიც ავტონომიური ოლქის მეურნეობას შეეხება;

დ) გამოიყენოს დადგენილი წესით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესადგენად, აგრეთვე მეურნეობის განვითარების ცალკეული საკითხების დასამუშავებლად სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის საწარმოები, რომლებიც ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ;

ე) მოიწვიოს ცალკეულ საკითხებზე კონსულტაციისათვის საოლქო აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების, საპროექტო და გეოლოგიურსადაზვერვო, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების სპეციალისტები;

ვ) მიიღოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოსაგან შესაბამისი ანგარიშგებით გათვალისწინებული სტატისტიკური მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალები, რომლებიც საჭიროა გეგმების შესადგენად და მათი შესრულების შესა-მოწმებლად, ავტონომიური ოლქის მეურნეობის განვითარების ცალკეულ პრობლემებსა და საკითხებზე წინადადებათა მოსამზადებლად;

ზ) შეამოწმოს საგეგმო მუშაობის დაყენება საოლქო აღმასკომის სამმართველოებსა და განყოფილებებში, აძლიოს მათ საჭირო მითითებანი ამ მუშაობის დაყენების გაუმჯობესებისა და დამტკიცებული გეგმების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ;

თ) მოიწვიოს საუწყებათაშორისო თათბირები ავტონომიური ოლქის მეურნეობის განვითარების საკითხების განსახილველად;

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გადაწყვეტილებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისია ხელმძღვანელობს საქალაქო აღმასკომისა და რაიაღმასკომების საგეგმო კომისიების მუშაობას, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების შესაბამის რაიონულ (საქალაქო) საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიასაც.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიას სათავეში უდგას საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ნანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ამასთან გადაწყვეტილებას დანიშვნის (გათავისუფლების) შესახებ დაამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესია.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და საგეგმო კომისიის 8-10 წევრი, რომლებსაც საოლქო აღმასკომი დანიშნავს საგეგმო კომისიის აპარატის წამყვან სპეციალისტთა, აგრეთვე ხელმძღვანელ, საგეგმო-საალრიცხვო, საფინანსო-საბანკო და მეცნიერ მუშაკთა რიცხვიდან.

10. საოლქო აღმასკომის საგეგმო კომისია რეგულარულად (თვეში ერთხელ მაინც) გამართავს თავის სხდომებს, რომლებზედაც განიხილავს პრესპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარებისა და საწარმოო ძალთა განლაგების საკითხებს, მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ღონისძიებებს, ოლქის ცალკეულ სამეცნიერო-ეკონომიურ პრობლემებს, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგებს და მათი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, აგრეთვე ანგარიშებს საქალაქო და რაიონული საგეგმო კომისიების მუშაობის შესახებ.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 24 ნოემბრის № 660
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისია არის საგეგმო-ეკონომიური ორგანო, რომელიც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის (აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქ. თბილისში — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიის, თბილისის საქალაქო საგეგმო კომისიის) დავალებათა საფუძველზე, ახორციელებს რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) საქვეუწყებო ადგილობრივი მეურნეობის დაგეგმვას, აგრეთვე მთლიანად რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარების ცალკეული საკითხების დამუშავებას და კონტროლს უწევს დაწესებული გეგმების შესრულებას.

2. რაიონული საგეგმო კომისია (საქალაქო საგეგმო კომისია) თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქ. თბილისში — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიას და თბილისის საქალაქო საგეგმო კომისიას.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის ძირითადი ამოცანაა გაითვალისწინოს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებში:

— რაიონის (ქალაქის) მეურნეობის დარგების განვითარების სწორი თანაფარდობის დაცვა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელი ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი გაფართოება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საქონელბრუნვის მოცულობის

გადიდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ზრდასთან დაკავშირებით და სავაჭრო ქსელის გაფართოება, მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება;

— სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ნედლეულისა და სათბობის ადგილობრივი წყაროების, წარმოების ნარჩენების რაციონალურად განლაგება, აგრეთვე წყლის აუზებისა და საჰაერო სივრცის დაცვა გაბინძურებისაგან და შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენება საზოგადოებრივ მეურნეობაში;

— საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის შემდგომი გაფართოება, საგზაო მეურნეობის, ადგილობრივი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ყოველმხრივ განვითარება, ქალაქების, რაიონული ცენტრის, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობა;

— კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა დამტკიცებულ ვადებში.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიას ეკისრება;

ა) რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) საქვეუწყებო ადგილობრივი მეურნეობის განვითარების კრებსითი პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების, აგრეთვე რაიონის ეკონომიკისა და კულტურის კომპლექსური (ტერიტორიული) გეგმის პროექტის შემუშავება რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმოების დამტკიცებული გეგმების საფუძველზე;

ბ) საჭირო მასალების მომზადება რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებული მრეწველობის მუშაობის შესახებ, საწარმოთა და ორგანიზაციათა უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

გ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კრებსითი გეგმების და რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითად სახეობათა ბალანსების პროექტების შემუშავება;

დ) რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე და ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კრებსითი გეგმების პროექტების შემუშავება;

ე) ადგილობრივი სათბობის, ადგილობრივი საშენი მასალების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და ხარჯების ბალანსების შედგენა;

ვ) რაიაღმასკომისათვის (საქალაქო აღმასკომისათვის) გამოყოფილი საშენი მასალების, სათბობის, ნედლეულისა და სხვა მატერიალური რესურსების განაწილების გეგმების პროექტების მომზადება;

ზ) ისეთ ღონისძიებათა მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითს მოწყობას რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

თ) რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების შესრულების შემოწმება და ისეთ ღონისძიებათა შემუშავება რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულ დავალებათა შესრულებას და ამ გეგმების შესრულების შემოწმების საფუძველზე წინადადებათა წარდგენას რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) განსახილველად;

ი) ისეთ წინადადებათა შემუშავება რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის), აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის (ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საოლქო საგეგმო კომისიის) დავალებებით და თავისი ინიციატივით, რომლებიც მიმართულია რაიონის (ქალაქის) მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისაკენ;

კ) დასკვნების მომზადება რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის პროექტებისა და მისი შესრულების ანგარიშების გამო;

ლ) რაიონის (ქალაქის) ეკონომიური პასპორტის შედგენა და მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაჩვენებლების სისტემატიზაცია.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) ყველა განყოფილებისა და სამმართველოსაგან, რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისაგან პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტები, მასალები, გაანგარიშებანი და დასაბუთებანი, რომლებიც საჭიროა გეგმების შესადგენად და მათი შესრულების შესამოწმებლად და წინადადებათა მოსამზადებლად ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე;

ბ) მიიღოს დადგენილი წესით რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური, საოლქო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტები (გარდა თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმებისა), მასალები და გაანგარიშებანი, რომლებიც შეეხება საბინაო, კომუნა-

ლურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, მონაცემები მომუშავეთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის შესახებ, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის შესახებ, ცნობები წარმოების არსებული ნარჩენების შესახებ, რომლებიც გამოსადეგია სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა დასამზადებლად და ამ ნარჩენების გამოსაყენებლად საწარმოების შიგნით, და იმ ნარჩენების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გამოსაყენებლად უნდა გადაეცეს სხვა საწარმოებს, გარდა იმ ნარჩენებისა, რომელთა განაწილება ცენტრალიზებული წესით ხდება;

გ) მიიღოს დადგენილი წესით სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული (საქალაქო) ინსპექტურებისაგან ყოველგვარი სტატისტიკური მასალები, რომლებიც საჭიროა გეგმების პროექტების შესადგენად, გეგმების შესრულებისათვის კონტროლის გასაწევად და წინადადებათა მოსამზადებლად ცალკეულ ეკონომიურ საკითხებზე;

დ) მოიწვიოს საუწყებათაშორისო თათბირები რაიონის (ქალაქის) მეურნეობის განვითარების საკითხების განსახილველად;

ე) გამოიყენოს დადგენილი წესით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, აგრეთვე რაიონის (ქალაქის) მეურნეობისა და კულტურის განვითარების ცალკეული საკითხების დასამუშავებლად სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციების სპეციალისტები;

ვ) შეამოწმოს, თუ როგორ არის დაყენებული საგეგმო მუშაობა რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) განყოფილებებსა და სამმართველოებში და აძლიოს მათ საჭირო მითითებანი ამ მუშაობის გაუმჯობესებისა და დამტკიცებული გეგმების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიას სათავეში უდგას საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ თბილისში — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიასთან და თბილისის საქალაქო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით და გადაწყვეტილებას დანიშვნის (გათავისუფლების) შესახებ შემდგომ დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს სესია.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიას შექმნის მშრომელთა დეპუტატების რ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე და 6-10 წევრი რაიონის (ქალაქის) მეურნეობის წამყვანი დარგების სპეციალისტთა, საგეგმო-საღრიცხვო და საფინანსო-საბანკო მუშაკთა რიცხვიდან.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისია რეგულარულად (თვეში ერთხელ მაინც) გამართავს სხდომებს, რომლებზედაც განიხილავს გეგმების პროექტებს, გეგმების შესრულების შემოწმების შედეგებს და ადგილობრივი მეურნეობის დარგების განვითარების ღონისძიებებს, თვითეული კვარტალის დამთავრების შემდეგ ერთი კვირის ვადაში წარუდგენს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების კონიუნქტურულ მიმოხილვას ღონისძიებათა აღნიშვნით რაიაღმასკომს (საქალაქო აღმასკომს) განსახილველად და იმავდროულად — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ თბილისში — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, აჭარის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო კომისიას და თბილისის საქალაქო საგეგმო კომისიას.

---

## 126 საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმო-დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტები:

107. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების წყალსადენ-საკანალიზაციო მეურნეობათა საცხოვრებელი სახლები.

108. ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის — „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში.

109. კლასგარეშე და დიდი ხიდების მშენებლობის სრულიად საკავშირო ტრესტის „მოსტოტრესტის“ № 454 ხიდმატარებლის საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში და № 481 ხიდმატარებლისა — ქ. გორში.

110. „იუჟდორსტროის“ ავტოსაგზაო მშენებლობის სამხრეთის ტრესტის № 893 სამშენებლო სამმართველოს საცხოვრებელი სახლები ქ. გუდაუთაში.

111. ელექტრომექანიკური ქარხნის საცხოვრებელი სახლები ქ. ქუთაისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 23 დეკემბერი, № 701.

## 127 სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 11 სექტემბრის № 744 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობის წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავება დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაზღვროს შემკვეთები და გენერალური მოიჯარეები (სახელშეკრულებო საწყისებზე საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების მიმართ) სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობისათვის, გარდა 10 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ჯგუფური წყალსადენებისა, სამეურნეო მიზანშეწონილობის, სპეციალიზებულ სამშენებლო ორგანიზაციათა არსებობისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 სექტემბრის № 472 დადგენილებით რესპუბლიკაში შექმნილია კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული საპროექტო ინსტიტუტი — „საქკანალწყალპროექტი“, რომელსაც დაკისრებული აქვს ქალაქების, რაიონული ცენტრების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგების გენერალური სქემებისა და პროექტების შემუშავება, აგრეთვე დასახლებული პუნქტების გენერალური დაგეგმარების დაპროექტების დროს წყალმომარაგების ძირითად დებულებათა შემუშავება, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, დარჩეს აღნიშნულ ინსტიტუტს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში წყალმომარაგების კომპლექსური ჯგუფური და ლოკალური ობიექტების დამპროექტებლის ფუნქციები.

3. დაევალოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს განახორციელოს სოფლად 10 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ჯგუფური წყალსადენების მშენებლობის შემკვეთისა და გენერალური მოიჯარის ფუნქციები და ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაცია.

4. დაწესდეს, რომ ლოკალური წყალსადენების, მათ შორის ჯგუფური წყალსადენების სარიგებელი ქსელის ექსპლოატაციას განახორციელებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციები.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ დახმარება გაუწიონ სახელშეკრულებო საწყისებზე კოლმეურნეობებს, საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს წყალმომარაგების ობიექტების ტექნიკური ექსპლოატაციის საქმეში.

6. დაეკისროს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალსადენების ექსპლოატაციის განმახორციელებელი ორგანიზაციების უზრუნველყოფა მანქანების, წყალსაწევი, ენერგეტიკული, სატუმბო-ძალოვანი და სხვა მოწყობილობის სათადარიგო ნაწილებით, წყალსადენის არმატურით, ფასონური ნაწილებით, ფიტინგებით, სხვა მასალებითა და მოწყობილობით, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების ტექნიკური ექსპლოატაციისა და რემონტისათვის;

ბ) წყალსადენის არმატურის, მანქანების, წყალსაწევი, ენერგეტიკული, სატუმბო-ძალოვანი და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების ექსპლოატაციისათვის საჭირო სხვა მოწყობილობის კაპიტალური რემონტი საქვეუწყებო საწარმოებში;

გ) მეცხოველეობის ფერმებისაკენ წყალსადენების გაყვანის, შინაგანი სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის, ავტოსარწყულებლების მონტაჟისა და სატუმბო-ენერგეტიკული მოწყობილობის დაყენების სამუშაოების შესრულება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

7. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა შემოიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შესაბამის საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და კოლმეურნეობებთან შეთანხმებული წინადადებანი საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების, აგრეთვე კოლმეურნეობათა იმ სახსრების გაერთიანების შესახებ, რომლებსაც ისინი დადგენილი წესით წარმართავენ სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობისათვის.

დაევალოთ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გაითვალისწინონ 1971 წლიდან წლიურ და პერსპექტიულ სახალხო-სამეურნეო გეგმებში სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის საჭირო იმ მაგისტრალური წყალსადენების საექსპლოატაციოდ გადაცემის მაჩვენებლები, რომელთა მშენებლობა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, აგრეთვე კოლმეურნეობათა სახსრებით.

დაწესდეს, რომ წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობის სამუშაოები, რომლებსაც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები ასრულებენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დაფინანსების წყაროების მიუხედავად, შეიტანება საიჯარო სამუშაოთა გეგმებში.

8. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად, სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ სოფლად არსებული ჯგუფური წყალსადენები შემდგომი ექსპლოატაციისათვის გადაეცეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

9. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს სოფლად ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის სამსახური იმ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად, რომლებიც ამ მიზნისათვის გადაეცემა სამინისტროს.

10. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ფინანსთა სამინისტროსთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობის სამეურნეო ანგარიშის სპეციალიზებული ტრესტები ან სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები სამინისტროსათვის დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

11. დაევალოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1970-1974 წლებში შეიმუშაონ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების გაუმჯობესების სქემები ან ტექნიკურ-ეკონომიური მოხსენებანი და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სახმშენთან შეთანხმებით წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. დაწესდეს, რომ იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ამჟამად აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას, უნდა განაგრძონ მათ მიერ დაწყებული სამუშაოები.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 11 სექტემბრის № 744 დადგენილებით:

ა) დააწესა, რომ სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების იმ ობიექტების მშენებლობის დაფინანსება, რომლებიც საერთოა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფისათვის, ხორციელდება ამ ობიექტების მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით;

ბ) ნება დართო გადაეცეს ტიტულმქონეს (მშენებლობის მონაწილეთა შორის წყლის ყველაზე უფრო დიდ მომხმარებელს) აღნიშნული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სახსრები მშენებლობაში ყველა მეურნეობის წილობრივი მონაწილეობის წესით.

ცალკეული მონაწილეების მიერ გადასაცემი სახსრების ოდენობას განსაზღვრავს საპროექტო ორგანიზაცია წყლის მოხმარების პროპორციულად;

გ) დააკისრა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის ნორმატიული მასალები, საინსტრუქციო და მეთოდური მითითებანი;

დ) დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ სამი თვის ვადაში ინსტრუქცია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში წყალმომარაგების იმ ობიექტების ძირითად ფონდებში ჩარიცხვის წესის შესახებ, რომელთა მშენებლობა ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით ხორციელდება;

ე) საჭიროდ მიიჩნია მოეწყოს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის და საძოვრების გაწყლიერების მთავარი სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე), სამინისტროსათვის დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 9 დეკემბერი. № 676.

## 128 სამასალე მერქნისაგან ზოგიერთი ნაკეთობის დამზადების აკრძალვის შესახებ

რესპუბლიკაში ხე-ტყის რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოს რესპუბლიკის ყველა უწყებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას სამასალე მერქნის გამოყენება ხელის ინსტრუმენტის ტარების, ციგების, თოფის კონდახების, ჯოხებისა და ზოგიერთი სხვა საგნის დასამზადებლად, რომელთა გაკეთება შეიძლება ხე-ტყის ნარჩენებისაგან.

2. ხე-ტყის ნარჩენებისაგან ხელის ინსტრუმენტის ტარების, ციგების, თოფის კონდახებისა, ჯოხებისა და ზოგიერთი სხვა საგნის ვეგმაზომიერად დამზადების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეისწავლოს, თუ რა მოთხოვნილებაა რესპუბლიკაში ხის ამ ნაკეთობებზე, და ამის მიხედვით დაუგეგმოს შესაბამის უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი დამზადება. ამასთან აიკრძალოს აღნიშნული პროდუქციის გატანა სარეალიზაციოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეისწავლოს საკითხი საქართველოს მონადირეთა კავშირისათვის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მახარაძის ბამბუკის ფაბრიკის დაბრუნების შესახებ და თავისი წინადადება წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 10 დეკემბერი. № 680.

## 129 იმ პირთათვის შეღავათების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

„იმ პირთათვის შეღავათების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 8 დეკემბრის № 929 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს იმ პირთათვის, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის, სეზონური) სკოლების და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V, VI, VII, IX და X კლასებში, მათ მიერ გადასაყვანი გამოცდების ჩაბარების დროისათვის სამუშაოდან თავისუფალი 4-დან 6-მდე დღე ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით, იმ დღეების საერთო რაოდენობის შემცირების ხარჯზე (8-12 დღით), რომლებიც ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 22 დეკემბერი, № 687.

## 130 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეივსოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებული სია საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, ვინც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან ან შრომის დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით, ან დანაშაულის ჩადენისათვის. — შემდეგი პუნქტით:

„112. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ქარხნებსა და სარემონტო საწარმოებს.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 25 დეკემბერი. № 696.

## 131 საქართველოს სს რესპუბლიკაში მებოცვრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ვაჭრობის სამინისტროებსა და ცეკავშირის გამგეობას ფართოდ დანერგონ ბოცვრის მოშენება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ცეკავშირის სისტემის ქსელში, დასასვენებელ სახლებთან, სანატორიუმებთან, სამკურნალო დაწესებულებებთან, სკოლებთან, საბავშვო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივი კვების სისტემის სასადილო-ტრესტების მეურნეობებთან, მუშათა სასადილოებთან, სამეცნიერო-კვლევითსა და სასწავლო დაწესებულებებთან და მოსახლეობაში.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტებს:

ა) უახლოეს დროში შეარჩიონ მებოცვრეობის ფერმების მოსაწყობად ფართობები და გაითვალისწინონ ამ დარგის განვითარების კომპლექსური ღონისძიებანი;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ ბოცვრის სადედე სულადობა თითოეულ ფერმაში იყოს სულ მცირე 300 სული;

გ) ფერმები უხეში, მწვანე და წვნიანი საკვებით უზრუნველყონ ადგილობრივი რესურსებიდან, ხოლო კონცენტრირებულ საკვებზე, სადაც მისი დამზადების საშუალება არ არის, დროულად წარუდგინონ განაცხადები შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

3. დაევალოს ცეკავშირს (ამხ. ნ. ჯავახიძეს):

ა) მებოცვრეობის მეურნეობას ყოველწლიურად საჭირო რაოდენობით გამოუყოს მავთულბადე და საშენი მასალა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყოს თავის მეურნეობებში სანაშენო ბოცვრის მეტი რაოდენობით გამოზრდა მოსახლეობისათვის მისაყიდად;

გ) მებოცვრეობის მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და ბოცვრის მოშენების პროპაგანდის მიზნით ქალაქებსა და რაიონებში ყოველწლიურად მოაწყოს გამოფენა-ბაზრობა;

დ) ბოცვრის მოშენების გაუმჯობესების მიზნით შექმნას მებოცვრე-ზოოტექნიკოსის შტატი ცეკავშირის დამზადების სამმართველოში, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „კოოპკავშირებში" თითო საშტატო ერთეულის რაოდენობით.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცეკავშირმა ბოცვრის მოვლა-მოშენების წესების შესწავლისა და მებოცვრეობის ფართოდ გავრცელების მიზნით უზრუნველყონ მებოცვრეობის მასობრივი კადრების მომზადება, პოპულარული ბროშურებისა და პლაკატების გამოცემა, აგრეთვე ფართო პროპაგანდა ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

6. საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა შეკვეთის წესით უზრუნველყოს 1969 წელს გამზადებული 11-12 ნაბეჭდი ფორმის მოცულობის მებოცვრეობის სახელმძღვანელო წიგნის გამოცემა 15000 ცალი ტირაჟით.

7. საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულმა სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა ფართოდ გაშალოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მებოცვრეობაში შემდეგი საკითხების შესასწავლად: შემოყვანილი ბოცვრის ჯიშების აკლიმატიზაცია, მებოცვრეობის მეურნეობათა რენტაბელობა, საკვები რესურსები, მებოცვრეობის რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება და სხვ.

8. დამტკიცდეს 1970 წლის 1 იანვრიდან ბოცვრების შინარესპუბლიკური საანგარიშსწორებო ფასები, პროდუქციის თვითღირებულების კალკულირებისა და საანგარიშსწორებო და საცალო ფასებს შორის არსებული განსხვავების რეგულირებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში განსაკუთრებული ანგარიშის მეშვეობით: პირველი კატეგორიის ცოცხალი წონის ერთი ტონა — 1046 მანეთი; მეორე კატეგორიის ცოცხალი წონის ერთი ტონა — 841 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 25 დეკემბერი, № 697.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 132 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ და ცეკავშირის სისტემის იმ საწარმოთა დისლოკაციის შესახებ, რომლებიც ხილ-კენკრის ღვინოსა და ხილის წვენს ამზადებენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ და ცეკავშირის გამგეობის წინადადება და დამტკიცდეს ხილ-კენკრის ღვინისა და ხილის წვნის დამამზადებელი საწარმოების დისლოკაცია, № 1 დანართის თანახმად, და ლიკვიდირებულ იქნან 1970 წლის 1 იანვრიდან მცირე, ტექნიკურად სუსტად აღჭურვილი საწარმოები, № 2 დანართის თანახმად.

2. აეკრძალოთ ამიერიდან რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ისეთი საწარმოების შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად, რომლებიც ხილ-კენკრის ღვინოსა და ხილის წვენს ამზადებენ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა „საქკონსერვხილბოსტანმა“ და ცეკავშირის გამგეობამ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხილ-კენკრის ღვინისა და ხილის წვნის დამამზადებელი საწარმოების კეთილმოწყობას, მათ ტექნიკურად აღჭურვას, კადრებით დაკომპლექტებას და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისადმი ლაბორატორიული კონტროლის გაძლიერებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 31 დეკემბერი, № 718.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 31 დეკემბრის № 718
დადგენილების დანართი № 1

## სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის" და ცეკავშირის სისტემის იმ საწარმოების დისლოკაცია, რომლებიც ხილ-კენკრის ღვინოსა და ხილის წვენს ამზადებენ

### I. სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი"

1. კასპის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
2. გორის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
3. ქარელის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
4. აგარის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
5. თბილისის ხილ-კენკრის ღვინისა და საკვები კონცენტრატების ქარხანა
6. ტყვიავის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
7. ხაშურის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
8. ლენინგორის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
9. მარნეულის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
10. ლაგოდეხის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
11. ყვარლის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
12. სიონის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
13. ხრესილის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა
14. ბუკნარის ხილ-კენკრის ღვინისა და ციტრუსოვანთა ნაყენის ქარხანა
15. დრანდის ხილ-კენკრის ღვინის და ციტრუსოვანთა ნაყენის წარმოება
16. ზესტაფონის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
17. ხარაგოულის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
18. სამტრედიის ხილ-კენკრის ღვინის წარმოება
19. წყალტუბოს ხილ-კენკრის ღვინის წარმოება

### II. ცეკავშირი

1. თელავის საკონსერვო ქარხანა
2. წნორის საკონსერვო ქარხანა
3. ცხინვალის საკონსერვო ქარხანა
4. საჩხერის საკონსერვო ქარხანა
5. ცხაკაიას საკონსერვო ქარხანა
6. ოჩამჩირის საკონსერვო ქარხანა
7. ქობულეთის საკონსერვო ქარხანა
8. ამბროლაურის საკონსერვო ქარხანა

9. ცაგერის წვენ-ექსტრაქტის ქარხანა
10. შუახევის წვნის წარმოება
11. გორის სასურსათო კომბინატი (ხილ-კენკრის ღვინის წარმოება)
12. ქუთაისის სასურსათო კომბინატი (ხილ-კენკრის ღვინის წარმოება)
13. ჩოხატაურის წვნის წარმოება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 31 დეკემბრის № 718
დადგენილების დანართი № 2

**სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ და ცეკავშირის სისტემის ხილ-კენკრის ღვინისა და ხილის წვნის დამამზადებელი იმ საწარმოებისა და საამქროების ნუსხა, რომლებიც ლიკვიდირებულ უნდა იქნან**

**I. სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ ხაზით**

1. ჩითახევის ხილის წვნის წარმოება
2. გურჯაანის ხილ-კენკრის წვნის წარმოება
3. გურჯაანის ყოფილი ხილ-კენკრის წვნის წარმოების კაჭრეთის საამქრო
4. წყალტუბოს ხილ-კენკრის ღვინის წარმოების ფარცხანაყანევის საამქრო
5. ზესტაფონის ხილ-კენკრის ღვინის წარმოების თერჯოლის საამქრო
6. დრანდის ხილ-კენკრის ღვინისა და ციტრუსოვანთა ნაყენის წარმოების გალის და გუდაუთის საამქროები
7. მერიის ხილ-კენკრის ღვინისა და ციტრუსოვანთა ნაყენის ქარხანა (გადაეცემა მახარაძის საკონსერვო ქარხანას, როგორც ციტრუსოვანთა ნაყენისა და ნატურალური წვნის წარმოება)
8. ქარელის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანა № 2 (გადაკეთდება დასამწნილებელ ქარხანად ეროვნული სახეობის დამწნილების, დამარილებისა და ჩირის წარმოებისათვის).

**II. ცეკავშირის ხაზით**

1. ჭიაღელეს ხილის წვნის ქარხანა
2. ცხინვალის საკონსერვო ქარხნის ზნაურის ხილის წვნის საამქრო
3. მარნეულის ლუდის ქარხნის ხილის წვნის საამქრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 6 1969 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან
იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ქაღალდი
ნაბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 2,7

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2450 შეკვეთა № 79

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.